შენიშვნები და კომენტარები თბილისი რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის: თბილისი - ფონიჭალა და ფონიჭალა - რუსთავის მონაკვეთის განსახლების სამოქმედო გეგმაზე (LARP 1-3)

12 ივლისი, 2012 წ.

პროექტის აღწერა

პროექტის განმახორციელებელს წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. პროექტი გულისხმობს თბილისი რუსთავის ჩქაროსნული საავტომობილო გზის მოდერნიზაციას. პროექტი დაყოფილია სამ ქვეპროექტად: პირველი ქვეპროექტი ითვალისწინებს თბილისსა (გულუას ხიდი) და ფონიჭალას დასახლებას (ქვემო ფონიჭალა) შორის არსებული მონაკვეთის მოდერნიზაციას და ამ მონაკვეთზე არსებული 2-ზოლიანი საავტომობილო გზის გაფართოებას 6-ზოლიანად. მეორე ქვეპროექტი უშუალოდ ფონიჭალის დასახლებას ეხება და ამჟამად დამუშავების პროცესშია. მესამე ქვეპროექტი კი ითვალისწინებს ფონიჭალა-რუსთავის 2-ზოლიანი საავტომობილო გზის გაფართოებას 4-ზოლიანად.

პროექტი დასაფინანსებლად წარედგინა აზიის განვითარების ბანკს. აზიის განვითარების ბანკის 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულების თანახმად, პროექტი განეკუთვნება A კატეგორიას განსახლების კომპონენტით და საჭიროებს სრულმაშტაბიან განსახლების სამოქმედო გეგმის (LARP) მომზადებას. 2012 წლის გაზაფხულზე მომზადდა განსახლების სამოქმედო გეგმა (LARP) როგორც პირველი ასევე მესამე მონაკვეთისათვის.

პირველი ქვეპროექტის შემთხვევაში, პროექტის ზემოქმედების ქვეშ ხვდება 105 დაზარალებული ოჯახი და 358 დაზარალებული პირი. ხოლო, მესამე ქვეპროექტის შემთხვევაში, 144 დაზარალებული ოჯახი და 485 დაზარალებული პირი.

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირების ინფორმირებულობა

განსახლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ პროექტის განმახორციელებლებს მუდმივად ჰქონდათ შეხვედრები პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობასთან, ასევე ამ პირებს დაურიგდათ ბუკლეტები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლის 1 მარტს ჩატარებულ საჯარო განხილვა ამ ზემოხსენებულს ეჭვქვეშ აყენებს.

1. განხილვაზე მისულ მწვანე ალტერნატივას თანამშრომელს სრულიად განსხვავებული სურათი დახვდა იმ მხრივ, რომ ორი მოსახლის გარდა, რომლებიც ქვემო ფონიჭალას

მაცხოვრებლები იყვნენ, საჯარო განხილვაზე პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი სხვა არცერთი მაცხოვრებელი არ დასწრებია: არც პირველი და არც მესამე მონაკვეთიდან. აგრეთვე, მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლის მიერ დასმულ შეკითხვებს, რომელიც განსახლების სამოქმედო გეგმასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა, პროექტის წარმომდგენლებისაგან პასუხი არ გასცემია. ეს ყველაფერი კი, ეჭვქვეშ აყენებს იმას, რომ მოსახლეობას ნამდვილად მიეწოდათ ინფორმაცია მათთვის გასაგები ფორმით.

2. აგრეთვე, განსახლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტში მითითებულია ის პერიოდიც, როდესაც ხდებოდა „მოსახლეობის ინფორმირებულობა და მათთან სისტემატიური შეხვედრების ჩატარება“ (2011 წლის დეკემბრიდან 2012 წლის მარტამდე). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მწვანე ალტერნატივას თანამშრომლებმა, 2012 წლის 1 მაისს განახორციელეს საველე გასვლა, საპროექტო ტერიტორიაზე. არცერთ ქვემონაკვეთის მცხოვრებ მოსახლეობას არ ჰქონდათ ინფორმაცია დაგეგმილი თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის მოდერნიზაციის შესახებ, რომ არაფერი ვთქვათ დოკუმენტში ნათქვამ „დარიგებულ ბუკლეტებზე“. ისინი უბრალოდ ფლობდნენ ინფორმაციას მასზედ, რომ დაგეგმილია თბილისი - რუსთავს შორის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა. მოსახლეობის თქმითვე, მათ ამ საკითხთან დაკავშირებით არავინ გასაუბრებიათ, უბრალოდ აღნიშნეს, რომ უცხო პირები მიდიოდნენ და მიწის ნაკვეთებს ზომავდნენ. ეს ყველაფერი კი, ბადებს ეჭვს მასზედ, რომ მოსახლეობას არ მიეწოდათ ინფორმაცია დაგეგმილი პროექტის შესახებ, სათანადო ფორმით და ალბათ, არც ბუკლეტები დარიგებიათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაც აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკის დარღვევაზე მიუთითებს. პოლიტიკის თანახმად, დაზარალებული მოსახლეობის ჩართვა უნდა მოხდეს პროექტის ყველა ეტაპზე და პროექტის განმახორციელებელმა უნდა მოახდინოს ინფორმაციის დროული და გასაგები ფორმით მიწოდება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობისათვის.

კომპენსაცია და ფულადი დახმარებები

ორივე ქვეპროექტის განსახლების სამოქმედო გეგმის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაზარალებული პირი გადაადგილების დროს, ტრანსპორტირებისათვის მიიღებს ფულად დახმარებას 311 ლარის ოდენობით სამი თვის განმავლობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი თანხა, გზშ დოკუმენტში თავდაპირველად წარმოდგენილი იყო 200 ლარის ოდენობით. რა პრინციპით იქნა ეს თანხა დათვლილ/დაანგარიშებული და შემდეგ გაზრდილი 311 ლარამდე, სრულიად გაუგებარია. ამ კითხვაზე პასუხი ვერც ერთხელ ვერ მიიღო მწვანე ალტერნატივის თანამშრომელმა. აგრეთვე საინტერესოა, რატომ არის გამოყოფილი ერთი და იგივე ოდენობის თანხა ყველა პირისათვის, მაშინ, როცა განსხავებულ პიროვნებას შესაძლოა განსხვავებული რაოდენობის ტვირთი ჰქონდეს გადასაზიდი - ან მეტი, ან კიდევ ნაკლები. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თანხა 311 ლარი ტრანსპორტირებისათვის არ არის საკმარისი ნებისმიერი რაოდენობის ტვირთის გადასაზიდად

ნებისმიერ ადგილზე. აგრეთვე სრულიად გაურკვეველია, რატომ არის აღნიშნული თანხა გადანაწილებული სამ თვეზე.

განსახლების სამოქმედო (LARP) დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დაზარალებული, რომელიც კარგავს სამსახურს დროებით მიიღებს ფულად კომპენსაციას სამი თვის განმავლობაში 313 ლარის ოდენობით; მიგვაჩნია, რომ ეს სრულიად შეუსაბამოა რეალობასთან - შესაძლოა მშენებლობა გაგრძელდეს სამ თვეზე უფრო დიდი ხნის განმავლობაში, ან პირიქით, დასრულდეს სამ თვეზე უფრო მოკლე ვადაში. ეს სრულიად არასამართლიანია იმ მხრივ, რომ თუ მშენებლობა 3 თვეზე უფრო დიდი ხანი გაგრძელდება, დაზარალებული დარჩება შემოსავლის გარეშე მანამ, სანამ არ დასრულდება მშენებლობა და კვლავ არ შეძლებს მუშაობის გაგრძელებას.

აგრეთვე, განსახლების სამოქმედო გეგმის (LARP) მიხედვით, დაზარალებულები, ვინც მუდმივად კარგავენ სამსახურს, მიიღებს კომპენსაციას ერთი წლის განმავლობაში 313 ლარის ოდენობით. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული თანხა, დაკარგული მუდმივი შემოსავლის სანაცვლოდ, არასაკმარისია. გაეროს, "განვითარების მიზნით განსახლებისა და გადაადგილების ძირითადი პრინციპების"[1] მიხედვით, დაზარალებულს, რომელიც მუდმივად კარგავს შემოსავალს, პროექტის განხორციელების გამო, უნდა მიეცეს დასაქმების შესაძლებლობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დოკუმენტში მსგავსი არაფერია აღნიშნული გარდა იმისა, რომ აღნიშნულ პირებს ეძლევათ კომპენსაცია ერთი წლის განმავლობაში, სხვა სახის დახმარება არ არის გამოყოფილი. სრულიად გაუგებარია, როგორ უნდა გააგრძელოს პროექტის შედეგად დაზარალებულმა ცხოვრება, მაშინ როცა მათ შეუწყდებათ ფულადი დახმარება ერთი წლის შემდეგ. აზიის განვითარების პოლიტიკის მიხედვით, პროექტის განმახორციელებლებმა უნდა უზრუნველყონ დაზარალებული მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და არა პირიქით, მისი გაუარესება. ამ შემთხვევაში კი, გამოყოფილი თანხა 313 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში მუდმივი შემოსავლის დაკარგვის სანაცვლოდ სრულიად არასამართლიანად მიგვაჩნია. ეს არანაირად არ შეუწყობს ხელს მათი პირობების გაუმჯობესებას, არამედ პირიქით, დაზარალებულს ტოვებს მუდმივი შემოსავლის წყაროს გარეშე და ამით, მათი მდგომარეობა შეიძლება უარესობისკენ შეცვალოს.

[1] გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი, რომლის წევრი ქვეყანაც არის საქართველო